თანდაყოლილი გეშტალტ-ხატები || „აღქმის არქეტიპები“ -

Inherent gestalt-images - Врожденные гештальт-образы

პირველადი სქემატური **გეშტალტები** და **ხატები**, რომლებიც ყოველგვარი გამოცდილების გარეშეც იჩენს თავს. ამასთან, სმენითი, გემო-ყნოსვითი ან შეხებითი **ᲒᲔ**-ები ძუძუმწოვარს, შესაძლოა, **პრენატალური** გამოცდილებიდან ჰქონდეს (მაგ., ადამიანის ჩანასახს დედის მუცელში ესმის ხმები, სიამოვნებს რბილი მელოდიური სიმღერა). მაგრამ მხედველობითი **ᲒᲔ**-ებისთვის ეს გამორიცხულია. ამიტომ ისინი მაინც (თუკი სხვები არა) წმინდად გენეტიკურადაა **Ო**.

არამარტო **სქემა**, არამედ ხატიც კი შეიძლება **Ო** იყოს; მაგ., ყოველგვარი უარყოფითი გამოცდილების გარეშე გველის ხატი იწვევს შიშს ან უსიამოვნებას, თანაც არამარტო ადამიანისთვის, არამედ აგრეთვე მრავალი სახეობის ცხოველისთვისაც; ასევე, წიწილას **Ო** აქვს მტაცებელ ფრინველთა **ᲒᲔ**-ები. ასევე, **ᲝᲒᲮ**-ის შესაბამისად არჩევს ცხოველი მისთვის საკვებად ვარგის საგნებს და სხვა. აღქმის ზოგი სქემა-ხატის თანდაყოლილობას ამტკიცებს ისიც, რომ მონაკვეთების სიგრძის ზოგი **მხედველობითი ილუზია** ფრინველებსაც ძლიერად აქვთ, ყოველგვარი გამოცდილების გარეშეც.

ადამიანისთვის **ᲝᲒᲮ** მოიცავს ძირითადად მხედველობით **ᲒᲔ**-ებს, მცირედ – სმენითსაც. მაგ., ახალდაბადებული ჩვილი სრულიად განსხვავებულად რეაგირებს ადამიანურ მეტყველებაზე, გამოარჩევს მას სხვა ხმებს შორის; უფრო მეტიც, გამოარჩევს ქალის ღუღუნა ხმას, რომელიც ყველაზე მეტად სიამოვნებს. მრავალი სახეობის ცხოველისთვის მნიშვნელოვანია აგრეთვე ყნოსვითი მოდალობის მონაწილეობაც.

ადამიანის **ᲝᲒᲮ** მოიცავს ადამიანის პირისახის **ᲒᲔ**-ს. ჩვილისთვის ყველაზე საინტერესო და მიმზიდველია ცოცხალი ადამიანის პირისახე, შემდეგ კი – მანეკენის პირისახე (ანუ განარჩევს ბუნებრივ პირისახეს ხელოვნურისგან!); სხვა საგნები ნაკლებად აინტერესებს [პ. ლანგსდორფი, კ. იზარდი]. ამასთან, აქ **გენდერული** განსხვავებაც იჩენს თავს: სხვა საგნების მიმართ გოგონებთან შედარებით ვაჟები იჩენენ გაცილებით მეტ ინტერესს; ხოლო გოგონების ინტერესი უმეტესად ადამიანებით იფარგლება [ა. და ბ. პიზები]. უფრო მეტიც, თანდაყოლილია არამარტო პირისახის **ᲒᲮ**, არამედ

კონკრეტულად **მთავარი გრძნობების** გამომხატველი პირისახის გამომეტყველებისა და ხმების **ᲒᲮ**-იც. მაგ., 9-თვიანი ჩვილი, ყოველგვარი წინასწარი გამოცდილების გარეშე, წუხს დედის მწუხარე გამომეტყველებისა და ხმების გამო და ნაკლებად თამაშობს; ასევე, უხარია დედის გახარებული გამომეტყველება და ხმები [კ. იზარდი].

4-6-თვიანმა ჩვილებმა ადამიანის სიარულის მსგავსი და ბუნებრივი რიტმის მქონე მოძრაობა ნათურების მოდელისა განარჩიეს იმავე მოდელის მექანიკური მოძრაობებისგან – პირველს გაცილებით დიდი ინტერესით და ხანგრძლივად უცქეროდნენ [რ. ფოქსი, ქ. მაკდანიელი]. ესე იგი **ᲗᲒᲮ** მოიცავს აგრეთვე მოძრაობათა და რიტმის **Გ**-ებს.

„**ᲐᲐ**“-ს განეკუთვნება აგრეთვე პირველადი გეომეტრიული ფორმები: წრე, სამკუთხედი, კვადრატი, რომბი, ვარსკვლავი, ჯვარი, რიტმული ხაზები (სწორი, კლაკნილი, ტალღოვანი)... [იხ. **არქეტიპები**].